# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

№6 (60) სექტემბერი-ოქტომბერი 2012 წელი

## ბეჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

# ძალადობის ეროვნებისა და კეთილდღეობისათვის

# „სული - ღმერთის, ბული - ადამიანის...“

ბიულეტენი გამოდის 2007 წლის ივლისიდან

# „სული – ღმერთს, გული – სამშობლოს...“

2012 წელი უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წმ. აღმსარებელ ამბროსი ხელაიას წლად გამოაცხადა გასულ წელს ამ დიდი ქართველის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო.

სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოიწვია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ისტორიკოსი ჯემალ გამახარია, რომელსაც რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოცემული წმიდანის შესახებ, რათა ლექციები ჩაეტარებინა წყნეთის, აფხაზეთის #2 (ვაშლიჯვარი) და #3 (თბილისის ზღვა) საჯარო სკოლებში. მეცნიერმა ვრცლად ისაუბრა აფხაზეთის მკვიდრის, ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმ. ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მის მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის მნიშვნელობაზე მსოფლიოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში.

— „იუბილეს ჩვენ მივუძღვენით საკმაოდ საფუძვლიანი მონოგრაფია, ბრძანა ბატონმა ჯემალმა, — სადაც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შესწავლილია არა მხოლოდ აფხაზეთში მოღვაწეობის პერიოდში, არამედ მთლიანად, კათოლიკოს-პატრიარქობის პერიოდის ჩათვლით. ამბროსი ხელაია გაიზარდა ილორში, სწავლობდა ოჩამჩირეში, შემდეგ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, მარტვილში, შემდეგ 1886 წლამდე — თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სწავლის გაგრძელება უნდოდა უნივერსიტეტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ეს ვერ მოახერხა და შეუდგა სასულიერო მოღვაწეობას. მოღვაწეობდა სოჭში, რომელიც მაშინ სოხუმის ეპარქიაში შემოდიოდა და 1892 წლამდე სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. მერე სოხუმში მსახურებისას უკვე არა მარტო როგორც სასულიერო, არამედ როგორც სერიოზული ეროვნული მოღვაწე ყალიბდება. სრულიად ახალგაზრდა ილაშქრებს რუსი ეპისკოპოსების ასიმილატორული, მკვეთრად გამოხატული ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანი ქართველი სასულიერო პირების აფხაზეთიდან თანდათანობით გაძევება იყო, ამიტომაც ხდებოდა ქართული ღვთისმსახურების რუსულით შეცვლა, სკოლიდან ქართული ენის გამოდევნა, ქართველებსა და აფხაზებს

შორის შუღლის ჩამოგდება. ეპისკოპოსმა არსენმა, რომელიც გამოირჩეოდა ანტიქართული განწყობით, აიძულა, რომ წასულიყო სოხუმიდან, მაგრამ წმ. ამბროსიმ სხვაგან მსახურების გაგრძელების ნაცვლად სასულიერო აკადემიაში სწავლა გადაწყვიტა. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. იგი დაინიშნა ჭელიშში, ყველასაგან მიტოვებულ მონასტერში. აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. აქ მან დიდი სამეცნიერო საქმიანობა გაშალა. ჭელიშის მონასტერი რაჭის რეგიონის სულიერების ცენტრად იქცა. აღმოაჩინა „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტი, აღწერა იგი და მასთან ერთად სხვა მრავალი სიძველე...

ყველა პრობლემა, რომელსაც ამბროსი ხელაია იყო შეჭიდებული, დღესაც აქტუალურია. ეს არის: აფხაზეთის ტერიტორიული და ეკლესიური შემოერთება, იქ არსებული ვითარების შეცვლა, კულტურის ძეგლების დაცვა, ქართული სწავლა-განათლების მდგომარეობისა და დეოკუპაციის პრობლემები. გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მისი მემორანდუმი იყო უტყუარი მტკიცებულება, რომ საქართველოში მოხდა არა რევოლუცია, არამედ ოკუპაცია. ეს დოკუმენტი დღემდე მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, ყველგან სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზეა მსჯელობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია დეოკუპაციისთვის“.

ლექციებმა პედაგოგებისა და მოსწავლეების დაინტერესება გამოიწვია. ამას ადასტურებს მათი გამოსვლები ლექციების დამთავრების შემდეგ.

***სვეტლანა რურუა, №3 საჯარო სკოლის დირექტორი:*** – „მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებისთვის. იმედია, პედკოლექტივიც და ბავშვებიც უფრო ღრმად გაეცნობიან ამბროსი ხელაიას მოღვაწეობას“.

***ია ჭანტურია, სასწავლო ნაწილის გამგე:*** — „ძალიან მომეწონა ბატონი ჯემალის ლექცია, საინტერესო იყო. კარგი იქნება, რომ ხშირად მობრძანდეთ და ასეთი საგანმანათლებლო ლექციები ჩაგვიტაროთ. დიდი მადლობა“.

***თამარ უგრეხელიძე, მელანო ჩაჩუა (მოსწავლეები):*** — „ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ წმ. ამბროსი ხელაიაზე. ის იყო ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და რაც მთავარია, იგი იყო ჩვენი კუთხიდან — აფხაზეთიდან. მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ გაიმართება მსგავსი ღონისძიებები. დიდი მადლობა წიგნებისათვის: „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)“, რომლის ავტორია ჩვენი დღევანდელი ლექტორი და დინარა დარსალიას მიერ შედგენილი კრებული „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე“, აგრეთვე, სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენებისათვის“.

# „ჩოსა სხვა ყველაფერი კვდება, კულტურა ცოცხლობს“

18 ოქტომბერს სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ **სვეტლანა ქეცბამ** საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეკრიბა, რომლებთანაც კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებს. მათთან თანამშრომლობით ჩვენმა ცენტრმა არაერთი ღონისძიება გამართა, რის დასტურადაც საკმარისია გავიხსენოთ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული კონცერტი „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“ (500-მდე ახალგაზრდის მონაწილეობით) და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი საღამო „მართლმადიდებელი საქართველო“.

ცენტრის ოფისში შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ყოველი სტუმარი გამოხატავდა მზადყოფნას კვლავაც ჩაეტარებინათ ერთობლივი ღონისძიებები და გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ ფიქრებს.

***ჟანა დავთიანი,*** თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი: — „ომის დაწყებამდე გარიმ, ჩემმა მეუღლემ, ერთ დილით გაიღვიძა და თქვა: მძიმე დღეები გველის, სევდიანი, დროა, ხალხს დღესასწაული მოვუწყოთო და მაშინ, როდესაც თბილისში ის-ის იყო სამოქალაქო ომი დამთავრდა, მან გადაწყვიტა შეექმნა თეატრი. და ეს თეატრი იშვა საშინელ, პატარა სარდაფში, რადგან ის სახელოსნო, რომელიც მას მანამდე ჰქონდა, გაქურდეს და ჩვენ გადავსახლდით ღრმა სარდაფში ავლაბარში. აქ შეიქმნა სწორედ გარი დავთიანის თოჯინები, უნიკალური მარიონეტები, რომლებსაც ანალოგი არა ჰყავთ მსოფლიოში — მარიონეტები, რომლებსაც აქვთ მიმიკა.

გარის ბევრჯერ შესთავაზეს ქვეყნიდან გასვლა და როდესაც ეს სევდიანი, ბნელი დღეები დადგა, ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, მან თქვა: მე პასუხისმგებელი ვარ ამ მიწაზე. მე აქ დავიბადე, აქ დაიბადნენ ჩემი წინაპრები და მე ვერ მივატოვებ მას, ვიღაც უნდა დარჩეს აქ. ერთ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ: პრემიერა შედგა 1992 წლის 3 სექტემბერს სომხური თეატრის დიდ დარბაზში. მეორე სპექტაკლიდან მიღებული თანხა უნდა გაგვეგზავნა აფხაზეთში, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ ეს თანხა უკვე აფხაზეთიდან დევნილებს გადავეცით, რადგან ეს იყო 1993 წლის 3 ოქტომბერი. საშინელი დღეები იდგა, არ ვიცოდით, გვეთამაშა თუ არა, დავრეკეთ კულტურის სამინისტროში, გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა ჩაგვეტარებინა სპექტაკლი. ასეც მოვიქეცით. იმ დროს, როდესაც არცერთი თეატრი არ ფუნქციონირებდა, ეს იყო პატარა ნათელი სხივი ყველასათვის — როგორც მონაწილეების, ისე მაყურებლებისთვისაც“.

***რეგინა იაკობიძე:*** — „მთელი 90-იანი წლები ლატვიის საპატიო კონსული ვიყავი. კულტურული ცხოვრება რაღაც საოცარი ფენომენი, სასწაულია, რადგან ქვეყანა, რომელიც თითქმის მკვდარია, ქვეყანა, რომელიც ომშია ჩაბმული, მღერის! კონსერვატორიაში ტარდებოდა პიანისტთა კონკურსებიც, კონცერტებიც და როდესაც აქ ლატვიელები ჩამოდიოდნენ, უკვირდათ: როგორ, შუქი არ არის და კონსერვატორიაშიკონცერტები იმართება, სიმფონიური ორკესტრი უკრავს! გვაოცებს კულტურის სიცოცხლისუნარიანობა, ვინაიდან მაშინ, როდესაც სხვა ყველაფერი კვდება, როდესაც პოლიტიკა აბსურდის ფორმას იღებს, კულტურა ცოცხლობს და კულტურა გვაძლევს საშუალებას გადავრჩეთ“.

საღამო მიჰყავდა სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარეს **სვეტლანა ქეცბას**. კულტურის მნიშვნელობაზე ადამიანთა ცხოვრებაში საღამოს სხვა მონაწილეებმაც ისაუბრეს — მევიოლინე **გალინა ბანდურამ**, ალტისტმა **ანატოლი დანელიანმა**, გერმანული საზოგადოება „აინუნგის“ ხელმძღვანელმა **გარი აუგსტმა** და სხვ. მათ სიხარულით მიიღეს ჩვენი წინადადება, რათა დეკემბერში მოეწყოს ერთობლივი საღამო „საქართველოს ცის ქვეშ“, რომელიც მიეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II აღსაყდრების 35-ე წლისთავს.

დამსწრენი გაეცნენ აფხაზეთის მკვიდრი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების — კომპოზიტორ ლალი საბანაძისა და მომღერალ სალომე ჯიქიას ბოლოდროინდელ შემოქმედებით მიღწევებს.

# ძმაბულის ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის

წმ. სამების საკათედრო ლავრაში დაბრძანებულ დიდებულ ხატთან „საქართველოს იმედი“ მუდამ ხალხმრავლობაა. ტაძრის მრევლთან ერთად თაყვანსაცემად მოდიან არა მარტო დედაქალაქის მკვიდრნი, არამედ ჩამოსული სტუმრებიც. საოცარი სინატიფით შესრულებული ეს სიწმინდე ყველაში მოწიწებას იწვევს. აქ თითქოს დრო ჩერდება და მხოლოდ ზეციურ მფარველებს ხედავ, მათ ძალას გრძნობ. ხატთან კვირაში ხუთჯერ პარაკლისი იმართება. სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით პარაკლისებს წინამძღვრიშვილის №121-ში კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილები და ილორის წმ. გიორგის ხატის სახელობის მშენებარე ტაძრის მრევლი დაესწრო. მომლოცველებმა მუხლი მოიყარეს საქართველოს მფარველი წმინდანების წინაშე და მამულის ერთიანობა და კეთილდღეობა შესთხოვეს.

# ილორის წმ. გიორგის ტაძრის მეტოქიონი

ილორის ტაძარი მე-11 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. იგი ოჩამჩირის რაიონში, სოფლის შუაგულშია აღმართული. აქ ლოცულობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს იგი სავალალო მდგომარეობაშია — დადგმული აქვს რუსული გუმბათი, თეთრადაა გადაღებილი გარე ფასადი, კედლების ნაწილი. ეს ქართული კვალის წაშლის ცდაა. წირვა-ლოცვა იქ 90-იანი წლების ბოლოდან შეწყდა. მრევლს ენატრება მშობლიური ტაძარი. სწორედ ამ მონატრების გამოხატულებაა ის, რომ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდთან, ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მეტოქიონი (დაქვემდებარებული) ტაძარი შენდება. მშენებლობის იდეა ოჩამჩირელ ექიმს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს — წმ. გიორგის ოქროს ორდენის კავალერ **ზურაბ ჩიქოვანს** ეკუთვნის, იგია მშენებლობის ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელიც.

„ — ეს იქ, იმ ტაძარსა და აქ მშენებარე ტაძარს შორის დამაკავშირებელი სულიერი ძაფი იქნება, — ბრძანა ბატონმა ზურაბმა. — 300 000 მლოცველი, რომელიც იმ ტაძარს დააკლდა, დღეს აქ აღავლენს ლოცვას. ტაძარი შემოწირულობებით შენდება, მუშებიც კი უანგაროდ მუშაობენ. ტაძარი ჯერ აშენებული არ არის, მაგრამ მას თავისი მრევლი უკვე ჰყავს. მისი მოძღვარი გაგრელი მამა ლევანია (ჯანაშია)... აფხაზეთში დაბრუნებამდე მინდა აშენდეს. ამ საქვეყნო საქმეში ხალხი უეჭველად თავის წვლილს შეიტანს. აფხაზეთის სალოცავების მადლი ჩვენს მიწაზე დაგვაბრუნებს“.

***მამა ლევანი (ჯანაშია):*** — აფხაზეთის მკვიდრმა საზოგადოებამ 2011 წელს მიმართა თხოვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ თბილისში მათი უშუალო ხელმძღვანელობით დაწყებულიყო ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რაც მისმა უწმინდესობამ მოიწონა, მშენებლობის კურთხევაც მისცა. საკითხავი იყო შემდეგი — თბილისის რომელ უბანში იქნებოდა შესაძლებელი ამ ტაძრის აშენება. უწმინდესმა არჩევანი თავად ამ ჯგუფს მიანდო. ეს საკითხი ბატონ ზურაბ ჩიქოვანის დახმარებით გადაწყდა. მან ქალაქის ცენტრში, ვახუშტის ხიდთან, აგლაძისა და ხოშარაულის ქუჩებს შორის მდებარე სკვერში პირად საკუთრებაში არსებული 1337 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა საპატრიარქოს, ასევე მანანა ფანცულაიამ (ბუბუტეიშვილმა) მომიჯნავე 1337 კვ. მეტრი ნაკვეთი შესწირა საპატრიარქოს.

ეს ფართი იძლეოდა საშუალებას, რომ ტაძარი საშუალოზე დიდი ზომის ყოფილიყო. საპატრიარქოს არქიტექტურულმა საბჭომ დაამტკიცა თემურ ბერიძის, დავით თაყაიშვილისა და ნიკოლოზ ემხვარის პროექტი, რომელიც მისმა უწმიდესობამ მოიწონა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ამ უდიდესი ტაძრის წინამძღოლობა. იმ დროს მე სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე მდებარე მაცხოვრის ამაღლების ტაძრის მღვდელმსახური გახლდით. სწორედ ამ ტაძარში შევიტყვე ბატონ თემურ ბერიძისა და დავით თაყაიშვილისაგან, რომ საპატრიარქოში უწმიდესთან ჩემი შეხვედრა უნდა მომხდარიყო. ამ შეხვედრაზე მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით დაიწერა ბრძანება ჩემი მშენებარი ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დადგინებისა. დღესდღეობით, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ გართულდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. ტაძრის მოცულობაც საკმაოდ დიდი და სპეციფიკურია, ამიტომ უწმიდესის ლოცვა-კურთხევის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჯერ მცირე ზომის ბაზილიკის ტიპის ტაძარი აგვეგო, რომელსაც 2011 წლის 12 სექტემბერს ჩაეყარა საფუძველი და ერთი წლის თავზე დასრულდა მისი გამშვენება, იგი წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა. ტაძარში კიდევ ერთი მღვდელმსახური — დავით კონჯარია მოღვაწეობს, რომელიც გულრიფშიდანაა. ტაძარში როგორც აფხაზეთის მკვიდრი ქართველები, ასევე აფხაზი ეროვნების ადამიანები მოდიან და თავად იღებენ მონაწილეობას მის გამშვენებაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ზურაბ ჩიქოვანის დახმარება საპატრიარქოსადმი მიწის ნაკვეთის გადაცემის თობაზე, ასევე მერაბ ემხვარი, ალექსანდრე წულაია, რომლებმაც განსაკუთრებული ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობას. ასევე უნდა აღინიშნოს ლორენცო შარანგია, ალექსანდრე კუჭუხიძე, თამაზ გოგინაშვილი, თემურ დანელია და კიდევ ძალიან ბევრი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ერთ-ერთი მიზეზი თბილისში ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისა გახლავთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების პრობლემა; ისიც, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ხელი არ მიგვიწვდება ამ მხარეში მდებარე უდიდეს სიწმიდეებზე, მათ შორის ყველასათვის ცნობილ და საყვარელ ილორის წმინდა გიორგის ტაძარზე, არც ქართველ და არც სხვა ეროვნების ადამიანებს.

ეს ტაძარი იყო და მუდამ იქნება ქართველთა და აფხაზთა სულიერი ერთობის ადგილი.

ვისურვებდით, თბილისში წამოწყებული ეს უდიდესი საქმე წინაპართა საერთო ღირებულებების აღდგენისა და განახლების საწინდარი გამხდარიყოს“.

## ჩვენებაშრომები

# ვულოცავთ!

**თათუშა შურღაია-თორდია** გამორჩეული ადამიანია თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

ქალბატონმა თათუშამ დაამთავრა რა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იურისტის პროფესიას დაეუფლა, მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმში. 1949-1953 წწ. ნოტარიუსი იყო, 1953 წლიდან 1993 წლამდე — ადვოკატი. ამავდროულად 1977-1990 წლებში ქ. სოხუმის აღმასკომის იურისტად მუშაობდა. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით ლექციებს კითხულობდა წარმოება-დაწესებულებებში. იგი მთელი ცხოვრება ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურა და მიუხედავად თავსდატეხილი დიდი უბედურებისა — მეუღლის, გამორჩეული იურისტის ვალერიან თორდიას, გარდაცვალებისა და მალევე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა, ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. უკვე დევნილი თბილისში განაგრძობდა მუშაობას ნოტარიუსად. მისი საქმიანობა დაფასდა კიდევაც — ქალბატონი თათუშა ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი გახდა.

ეს სანდომიანი ქალბატონი მუდამ სიყვარულითა და სითბოთია გარემოცული, რადგან სიყვარულსა და სითბოს უხვად აფრქვევს თავადაც. მასთან ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებს ყველას — ახლობელსა თუ უცნობს, მისი დიდი ოჯახის წევრს თუ სხვას. ოჯახი კი მართლაც დიდი აქვს ქალბატონ თათუშას: სამი შვილი, ცხრა შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. ღმერთმა უმრავლოს!

გულითადად ვულოცავთ ქალბატონ თათუშას 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ჩვეულ შემართებას. კიდევ დიდხანს ყოფილიყოს იმედიანობისა და სამართლიანობის მაგალითი.

# წმიდა პირველმოწამე, მოციქულთასწორი თეკლა (I) 24 (07.10) სექტემბერი

პირველმოწამე თეკლა ქალაქ იკონიაში დაიბადა. იგი დიდგვაროვანი და მდიდარი ოჯახის შვილი იყო და გასაოცარი მშვენიერებით გამოირჩეოდა. თვრამეტი წლის თეკლა დიდებულ ჭაბუკზე, თამვირზე დანიშნეს, მაგრამ ნეტარმა იმ ხანებში ქალაქში ჩასული პავლე მოციქულის ქადაგება მოისმინა, მთელი გულით შეიყვარა მაცხოვარი და მტკიცედ გადაწყვიტა, ქალწულება დაემარხა ქრისტესთვის. წმიდანს დედა აიძულებდა, გათხოვილიყო. თეკლას საქმრომ ქალაქის თავთან დაასმინა პავლე, „დააკლებს ჭაბუკებსა ცოლებისაგან და ქალწულებსა ქმრებისაგან, რამეთუ შჯულის-მდებლობს უქორწინებლობასა“. მოციქულთა თავი შებოჭეს და საპყრობილეში ჩააგდეს. წმიდა თეკლა ღამით გაიპარა სახლიდან, დილეგის მცველები მოისყიდა და პავლეს საკანში შეაღწია. სამი დღე იჯდა ქალწული წმიდანის ფეხებთან, უსმენდა „ყოვლისა თაფლისა და გოლისა უტკბილეს“ მის სწავლებას და სარწმუნოებაში აღორძინდებოდა. როცა თეკლას გაპარვა

შენიშნეს, მშობლებმა ყველგან მსახურები დაგზავნეს მის საძებნელად. ბოლოს ნეტარს საპყრობილეში მიაკვლიეს და ძალით წაიყვანეს შინ.

მთავარმა პავლე „განშოლტვილი განწადა ქალაქით“. თეკლას კიდევ დიდხანს შეაგონებდნენ, დათანხმებულიყო ქორწინებაზე, მაგრამ ვერც დედის ცრემლებმა და რისხვამ, ვერც მთავრის მუქარამ ვერ შეძლო ზეციური სიძის — უფალ იესო ქრისტეს სიყვარული მიენავლებინა მასში. მაშინ დედამ დაივიწყა ყველაფერი და, გააფთრებულმა, თავად მოსთხოვა მსაჯულს, სიკვდილით დაესაჯა მისი ასული. თეკლას ცეცხლში დაწვა მიუსაჯეს. მარტვილი პირჯვრის გადასახვით უშიშრად ავიდა კოცონზე. ამ დროს მას თავად მაცხოვარი გამოეცხადა, რომელმაც აკურთხა წმიდანის მომავალი ღვაწლი და მისი სული გამოუთქმელი სიხარულით აღივსო. ცეცხლის ალი მაღლა ავარდა, მაგრამ თეკლას არ შეხებია — რკალად შემოერტყა გარს. უეცრად ცამ იჭექა, სეტყვანარევმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა და ცეცხლი ჩააქრო. დამფრთხალი ჯალათები დაიფანტნენ, უვნებლად დაცულმა მოწამემ კი დატოვა ქალაქი და ერთი ჭაბუკი ქრისტიანის დახმარებით პავლე მოციქული მოძებნა. წმიდა პავლესა და მის თანამგზავრებს, მათ შორის მოციქულ ბარნაბას, ქალაქის მახლობლად, გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი და მხურვალედ ლოცულობდნენ, რომ უფალს ტანჯვათა შორის განემტკიცებინა თეკლა. წმიდა ქალწულმა ანტიოქიამდე მათთან ერთად იარა. აქ ერთი დიდებული, სახელად ალექსანდრე, მოიხიბლა მისი მშვენიერებით და მისი ხელში ჩაგდება მოისურვა. ჭაბუკი ვნებებს ვერ იოკებდა, „ურცხვნოდ მოეხუეოდა მას და ესრეთ უბანთა ზედა ჰკოცნიდა“. თეკლა „გარემიაქცევდა მას და განაგდებდა“, ბოლოს კი მოსასხამი ჩამოახია, გვირგვინი მოჰხადა და „განქიქებულყო ყოველთა ზედა“. ალექსანდრემ ვერ აიტანა შერცხვენა და მთავარს მიჰგვარა წმიდანი. მტარვალებმა მას



სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ორჯერ მიუშვეს ნეტარზე დამშეული მხეცები, მაგრამ მათ არაფერი ავნეს წმიდანს. ბოლოს თეკლა ორ ხარზე დააკრეს, შემდეგ გახურებული რკინებით ნადირები გაახელეს, რომ სხვადასხვა მხარეს გაქცეულიყვნენ და ქალწული დაეგლიჯათ, მაგრამ, ღვთის ნებით, ხარები ადგილიდან არ დაიძრნენ, მაგარი ბაწრებიც ობობას ქსელივით გაწყდა და წმიდანს არაფერი დაშავებია. ხალხმა იხუვლა: „ერთ არს ღმერთი თეკლასი, ერთ არს ღმერთი: რომელმან განარინა თეკლა!“ თვითონ მმართველიც მიხვდა, რომ მარტვილს ყოვლადძლიერი ღმერთი მფარველობდა და ბრძანა, ქრისტეს მხევალი გაეთავისუფლებინათ. პავლე მოციქულის კურთხევით, წმიდანი ისავრიის სელევკიასთან, კალამონის უდაბური მთის გამოქვაბულში დამკვიდრდა და მრავალი წელი დაჰყო აქ ღვთის სიტყვის ქადაგებით. თეკლამ ურიცხვი კერპთმსახური მოაქცია ქრისტეს სჯულზე — ეკლესია ღირსად უწოდებს მას მოციქულთასწორს.

თეკლას უფლისგან სასწაულებრივი კურნების ნიჭიც ჰქონდა მიმადლებული და ყველას უსასყიდლოდ კურნავდა. ამის გამო წარმართი ქურუმები აღდგნენ მის წინააღმდეგ. უღმრთოები თვლიდნენ, რომ თეკლა „ღვთაება“ არტემიდემ შეიყვარა უბიწოების დაცვისათვის და საკვირველთქმედების ძალაც მისგან ჰქონდა მინიჭებული, ამიტომ „კაცნი ბილწნი ცხორებითა და ჭაბუკნი ჰასაკითა“ მოისყიდეს და გაგზავნეს წმიდანთან, რომ მასზე ძალა ეხმარათ. როცა „ძაღლებრ მრავალი“ უსჯულოები უკვე ძალზე ახლოს იყვნენ, ნეტარმა შემწეობა ითხოვა ღვთისგან. პასუხად ზეგარდმო გაისმა: „ნუ გეშინინ, თეკლა, რამეთუ მე შენ თანა ვარ!“ კლდე გაიპო, ქრისტეს მხევალი შეიფარა და კვლავ დაიხშო. ასე შეჰვედრა სული უფალს მისმა რჩეულმა (I).

*„წმიდათა ცხოვრებანი“. წ. II. თბილისი, 2008*

# საეკლესიო კალენდარი

**1 ნოემბერი (ხუთშ.)** — წინასწარმეტყველ იოელის (800წ. ქრ. წინ) ხსენება;

**3 ნოემბერი, დიმიტრის შაბათი** — ღირ. ილარიონ დიდის ხსენება (371-372წ.);
— მიცვალებულთა ხსენება;

**4 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა** — შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);
— დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;

**5 ნოემბერი (ორშ.)** — მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63წ.);

**6 ნოემბერი (სამშ.)** — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხსენება (1688წ.);

**7 ნოემბერი (ოთხშ.)** — მოწ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355წ.);

**8 ნოემბერი (ხუთშ.)** — წმ. ალექსანდრეს, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის (1907წ.) ხსენება;
— დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306წ.);

**10 ნოემბერი (შაბ.)** — მღვდელმოწამე ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.);

**11 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 23-ე კვირა** — ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900წ.);

**12 ოქტომბერი (ორშ.)** — მოწ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებულის ხსენება (1465წ.);

**13 ნოემბერი (სამშ.)** — წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა ხსნება (1227წ.);

**14 ნოემბერი (ოთხშ.)** — უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.);

**16 ნოემბერი (პარ.)** — ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308წ.);

**20 ნოემბერი (სამშ.)** — 33 მელიტინელ მოწამეთა ხსენება (III ს.);

**21 ნოემბერი (ოთხშ.)** — კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა;

**23 ნოემბერი (პარ.)** — ხსენება წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა **გიორგისა** (303წ.);

**26 ნოემბერი (ორშ.)** — ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407წ.);

**27 ნოემბერი (სამშ.)** — წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I);
— **შობის მარხვის აღება!**

**28 ნოემბერი (ოთხშ.)** — მოწ. გურისა და სამონის (299-306წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322წ.) ხსენება;
— შობის მარხვის დასაწყისი!

**29 ნოემბერი (ხუთშ.)** — წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის **მათეს** ხსენება (60წ);

**30 ნოემბერი (პარ.)** — დიდმოწამე მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914წ.);

# საეკლესიო კალენდარი

**2 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 26-ე კვირა** — ღირ. მამის ილარიონ ქართველის ხსენება (875წ.);

**4 დეკემბერი (სამშ.)** — ყოვლადწმიდა **ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება;**

**6 დეკემბერი (ხუთშ.)** — მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტის (ფერაძე) ხსენება;

**7 დეკემბერი (პარ.)** — დიდმოწამეთა მერკურისა (IIIს.) და ეკატერინეს ხსენება (305-313წ.);

**8 დეკემბერი (შაბ.)** — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წარგზავნა;

**12 დეკემბერი (ოთხშ.)** — მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენება (VIს.);

**13 დეკემბერი (ხუთშ.)** — მოციქულ ანდრია პირველწოდებულის და წმ. მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენება (502წ.);

**14 დეკემბერი (პარ.)** — წინასწარმეტყველ ნაუმის ხსენება (VIIს. ქრის. წინ);

**15 დეკემბერი (შაბ.)** — ღირ. ისე წილკნელის ხსენება (VIს.);

**17 დეკემბერი (ორშ.)** — დიდმოწამე ბარბარეს ხსენება;

**18 დეკემბერი (სამშ.)** — ღირ. საბა განწმენდილის ხსენება (532წ..);

**19 დეკემბერი (ოთხშ.)** — წმ. ნიკოლოზის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 345წ.);

**22 დეკემბერი (შაბ.)** — მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა;

**23 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 29-ე კვირა** — მოწ. მეფე ვახტანგ III-ის ხსენება (ძისა მეფისა დემეტრე თავდადებულისა);

**24 დეკემბერი (ორშ.)** — ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა ხსენება;

**25 დეკემბერი (სამშ.)** — წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 348წ.);

**— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II** აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე;

**26 დეკემბერი (ოთხშ.)** — მოწ. ევსტრატის, ავქსენტის, ევგენის, მარდარის და ორესტის ხსენება (284-305წ.);

**29 დეკემბერი (შაბ.)** — წინასწარმეტყველ ანგეას ხსენება (500წ. ქრ. წინ);

**30 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 30-ე, წმიდა მამამთავართა (მართალ მამათა) კვირა** — წინასწარმეტყველ დანიელის და 3-თა ყრმათა: ანანიას, აზარიას და მისაილის ხსენება (600 წ. ქრ. წინ);

# ჩვენი მოძღვარი

## 10 შეკითხვა მოძღვარს

**— რატომ ებრძვიან ეშმაკები განსაკუთრებით ძმათმოყვარეობას?**

— *წმიდა ანტონი დიდი ბრძანებს: „ვინაიდან კარგად უწყიან (ბოროტმა სულებმა), რომ ძმის მოყვარულს ღმერთიც უყვარს, ჩვენს გულებში თესავენ ურთიერთშუღლს, და მავანსა და მავანს ისე გვაძულებენ ძმას, მისი დანახვა და ხმის გაცემა აღარ გვინდა... უვიცობით ყველამ თავი დაიღუპა“;*

**— რატომ არის აუცილებელი ყოველდღიური ლოცვა?**

— *წმიდა გრიგოლი პალამა ბრძანებს: „ყოველდღიური კავშირი ღმერთთან ლოცვისა და ფსალმუნების გზით განაქარვებს ყოველგვარ გულარძნილებას, მათ გეზს უცვლის სიკეთისაკენ, თრგუნავს ხორციელ ვნებათაღელვას. იგი არის დასაბამი და განმამტკიცებელი ყოველი კეთილისა და განგვარიდებს ყოველგვარი ბოროტებისა და განსაცდელისაგან“;*

**— როგორ მოვიქცე, თუკი ჩემს გულს ხორციელი სილამაზე აცდუნებს?**

— *წმიდა აბბა ისაია განმარტავს: „თუ შენს გულს ხორციელი სილამაზე აცდუნებს, წარმოიდგინე, როგორ გაიხრწნება იგი და დამშვიდდები“;*

**— შეიძლება თუ არა, რომ მოწყალების გაღების მიზნით ავიღო ვალი და შემდეგ გავცე?**

— *წმიდა მაკარი ოპტინელი გვირჩევს: „მოწყალების გამო ვალი არ უნდა აიღო. ეკლესიის ისტორიაში არსად იხილვება, რომელიმე სამაგალითო გლახაკთმოყვარეს საკუთარი თავი ვალებით რომ შეეკრა“;*

**— როგორია ის ადამიანი, რომელსაც არა აქვს მართალი სარწმუნოება, მაგრამ ღვაწლში იმყოფება?**

— *წმიდა იაონე კიბისალმწერელი შეგვაგონებს: „ვისაც არა აქვს მართალი სარწმუნოება და ღვაწლშია, იმ კაცს ჰგავს, რომელსაც ამოაქვს წყალი და ასხამს გახვრეტილ ჭურჭელში“;*

**— რა შედეგი მოჰყვება გულწრფელ სინანულს?**

— *წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ზღვაში ჩაგდებული ქვა ქრება და მას ველარავინ ამჩნევს, ჩვენი ცოდვებიც ასე ჩაიძირება უფლის გულმოწყალების სიღრმეში, გაქრება ზეციური სამსჯავროს თვალის წინაშე, თუკი გულწრფელად მოვინანიებთ“;*

**— ძირითადად რა გზით გვესხმიან თავს ბოროტი სულები?**

— *წმიდა ანტონი დიდი განმარტავს: „ეშმაკი, რომელმაც თავისი ზეციური ალაგი ამპარტავნების გამო დაკარგა, ნიადაგ ცდილობს ღვთისადმი გულით მიდრეკილნი იმავე გზით გადაიბიროს, რა გზითაც თვითონ დაეცა, ე.ი. ამპარტავნებითა და დიდებისმოყვარეობით“;*

**— როგორია კათოლიციზმის სული?**

— *წმიდა თეოფანე დაყუდებული განმარტავს: „კათოლიციზმის სული მიწიერია, მათი ეკლესია არის პოლიტიკური კორპორაცია, რომელიც ეყრდნობა კაცობრივ ძალებსა და საშუალებებს, როგორიცაა: ინკვიზიცია,*

*ინდულგენციები, ხილული მეთაური (პაპი);*

**— როგორ უნდა მოიქცეს ცოლი, თუკი მეუღლე მწუხარებაშია?**

— *წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ოდეს იურვის ქმარი შენი, თავადაც შეწუხდი, ხოლო შემდეგ უმალ გახალისდი და განუქარვე მჭმუნვარება, რამეთუ დარდში ქმრისათვის ყველაზე საიმედო საყუდელი ცოლია“;*

**— როგორ უნდა აღასრულებდეს ადამიანი ამსოფლიურ საქმეებს?**

— *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვირჩევს: „ამსოფლიური საქმენი კაცმა ისე უნდა დაიწყოს, რომ ყოველივე ერთ უმაღლეს საქმეს – სულის ცხონებას ემსახურებოდეს“.*


თბილისის წმ.

ალექსანდრე

ნეველის სახელობის

ტაძრის წინამძღვარი

**დეკანოზი ბიძინა გუნია**

„ნოსკა ცხვა ყველაფერი ჯვრებია, ჯერ ცოცხალია ცოცხალობს“

# ილორის წმ. გიორგის ტაძრის მატიანი

# შემოდგომა


სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი